

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის 2016 წლის 20 ივლისს ხელმოწერილი სტანდარტული შეთანხმების წერილით გათვალისწინებული პროექტის - „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოება და პროფესიული განათლების მოდერნიზაცია“ - მეხუთე კომპონენტის (საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსები სკოლის მოსწავლეებისათვის) ფარგლებში პროექტის მეხუთე კომპონენტის ხელმძღვანელის **შერჩევის მიზნით**.

კონკურსი ცხადდება **2017 წლის 04 იანვარს** და განცხადებების წარდგენის **ბოლო ვადაა 2017 წლის 09 იანვრამდე**.

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა წერილის სათაურის ველში აუცილებლად უნდა მიუთითოს ვაკანსიის დასახელება **„პროექტის მეხუთე კომპონენტის ხელმძღვანელი“**, წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოხდება განაცხადის განხილვა.

ადგილების რაოდენობა - 1;

კონკურსის შედეგად, პროექტის მეხუთე კომპონენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე შეჩეულ პირთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე და ამ ვადის განმავლობაში მისი შრომის ანაზღაურება განისაზღვრება თვეში 2467 ლარის ოდენობით.

პროექტის მეხუთე კომპონენტის ხელმძღვანელის თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- ა) აკადემიური უმაღლესი განათლება - მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებულის აკადემიური ხარისხი;
- ბ) განათლების სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება;
- გ) მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება;
- დ) პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმის საფუძვლიანი ცოდნა;
- ე) პროფესიულ განათლებაში ევროპული პოლიტიკისა და მიდგომების ცოდნა.

პროექტის მეხუთე კომპონენტის ხელმძღვანელის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

- ა) კომპონენტით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების მიზნით დეტალური სამოქმედო გეგმის მომზადება და შეთანხმების კოორდინატორთან შეთანხმება;
- ბ) საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსებისა და მეთოდოლოგიური გზამკვლევის შემუშავების კოორდინაცია, პილოტირების მონიტორინგში მონაწილეობა, პროცესის დაგეგმვა და ხელმძღვანელობა, კოლეჯებში ვიზიტები;
- გ) კომპონენტის ექსპერტთა საქმიანობის ხელმძღვანელობა, ექსპერტთა შორის სამუშაოს განაწილება, მათთვის მკაფიო მითითებების მიცემა, შუალედური და საბოლოო უკუკავშირის მიცემა შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით;
- დ) შესასრულებელი სამუშაოს თემატიკასთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და ხელმძღვანელობა, სამუშაო შეხვედრების საფუძველზე გამოკვეთილი მოსაზრებების ანალიზი და დოკუმენტირება;

- ე) კომპონენტის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის ანალიზი, ექსპერტების მიერ შესრულებულ სამუშაოზე დასკვნების მომზადება და შეთანხმების კოორდინატორისთვის მიწოდება;
- ვ) ყოველი თვის ბოლოს, განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენა შეთანხმების კოორდინატორისათვის;
- ზ) საჭიროების შემთხვევაში, პროექტის სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრებში მონაწილეობა და მოთხვნილი ინფორმაციის წარდგენა.

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე, info@eqe.ge აუცილებლად უნდა გამოგზავნოს:

- ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ბ) ავტობიოგრაფია - (CV) ქართულ ენაზე;
- გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად:

- ა) განცხადებების გადარჩევა;
- ბ) გასაუბრება.